ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 183

"25" ივნისი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, აკაკი ხორავას ქუჩა №7-11/ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა №7-ში (საკადასტრო კოდი: №01.15.07.017.055.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, "ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, აკაკი ხორავას ქუჩა №7-11/ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა №7-ში (საკადასტრო კოდი: №01.15.07.017.055.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 1 მაისის №19.483.644 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: "ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, აკაკი ხორავას ქუჩა №7-11/ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა №7-ში, ბინა №4, I-II სართულზე მდებარე 105.64 კვ.მ. ფართის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.15.07.017.055.01.004) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე ლაშა შიუკაშვილისთვის (პ/ნ 01011097518) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**